მიღება- ჩაბარების

აქტი

ქ. თელავი 30 აპრილი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის გივი მეტრეველის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ააიპ „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“, კანცლერის ირაკლი თაქთაქიშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 22 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N0444/907-ის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. კერძოდ, ქ. თელავში არსებული 900 წლოვანი ჭადრის შენარჩუნებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საკონსულტაციო მომსახურება.

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

შესყიდვის ობიექტი ექვემდებარება ჩაბარებას და ანაზღაურებას.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ჩაიბარა: /გ. მეტრეველი/

ჩააბარა: /ა.სუპატაშვილი/

დანართი №1

დასკვნა

ა.წ. 10 აპრილს მეცნიერებმა ა.სუპატაშვილმა და ბ.თავაძემ შევისწავლეთ რა ჭადრის არსებული მდგომარეობა, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ მას განვითარებული აქვს ღეროს სიდამპლე, რაც გამოხატულია დიდი მოცულობის ფუღუროს (ფაუტიანობის) სახით.

ჭადრის შემდგომი სიჯანსაღის შესანარჩუნებლად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გვერდიდან უნდა გაიხსნას ღეროს ფაუტიანობა და გაიწმინდოს ფუღურო;
2. გაწმენდილ ფუღუროში ჩაისხას ცემენტიანი ხსნარი (2 X 1);
3. საჭიროა ძირზე შეეჭრას რამოდენიმე დამატებითი ტოტი, რომლის შესახებაც რეკომენდაცია გაეწიათ გამგეობის ადგილობრივ თანამშრომლებს – ალექსი აგურაშვილს და ვერიკო კობიაშვილს.

უსაფრთხოების მიზნით ჭადრის ირგვლივ უნდა გაკეთდეს წრიული მოაჯირი, რათა მნახველები არ მივიდნენ ხესთან ახლოს, ხეზე აღინიშნება ქერქის დაზიანება დანით და სხვ. ასევე სასურველი იქნება უსაფრთხოებისათვის 2 მეტრის სიმაღლეზე ლითონის რკალის გაკეთება.

შემსრულებლები

ბიოლოგიის დოქტორი: ა.სუპატაშვილი

ბიოლოგიის დოქტორი: ბ.თავაძე

14.04.2014წ.